საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ბიულეტენი

კენჭისყრა - 09.07.2025
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ლევან ნემსაძის კანდიდატურა?
(დიახ) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის ლევან ნემსაძის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 16 მაისის №1/38 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა ლევან ნემსაძე.

აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად, 2025 წლის 27 ივნისს შევადგინე პროცედურაში მონაწილე ყველა კანდიდატის, მათ შორის ლევან ნემსაძის შეფასების დასაბუთება. აღნიშნული დასაბუთება დაეყრდნო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ორგანული კანონის 34[2] მუხლის საფუძველზე კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, ლევან ნემსაძის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტს და საჯარო მოსმენას. ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნიე, რომ ლევან ნემსაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისირების კრიტერიუმს. ხოლო, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მაქსიმალური 100 ქულიდან შევაფასე - 91 ქულით, რაც ორგანული კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 91%-ს შეადგენს.

ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრის მიერ განხორციელებული შეფასებების საფუძველზე კანდიდატის მიერ დაგროვებულ ქულათა ჯამმა შეადგინა - 1185 ქულა, რაც მაქსიმალური ქულის 91,15% შეადგენს, ხოლო კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა მიიჩნიეს, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს. შესაბამისად, დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით, ლევან ნემსაძემ დაიკავა პირველი პოზიცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 30 ივნისის №1/49 განკარგულებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 1 კანდიდატი - ლევან ნემსაძე.

ამრიგად, 2025 წლის 9 ივლისს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებული ღია კენჭისყრაზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტისთვის წარსადგენად მხარი დავუჭირე ლევან ნემსაძეს, ვინაიდან, მიმაჩნია, რომ ცოდნის, კომპეტენციის, პროფესიული გამოცდილების, პროფესიული თვისებების, გამოვლენილი უნარ-ჩვევებისა და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლების გათვალისწინებით, ღირსეულად შეასრულებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლისთვის დაკისრებულ რთულ და საპასუხისმგებლო საქმიანობას.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

9 ივლისი, 2025 წელი